დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთანვე კოტე მარჯანიშვილი საბჭოთა თეატრალური კულტურის მოწინავე მშენებელთა რიგებშია. რევოლუციის ამოცანების შესაბამისად მან პრინციპულად ახალი გაეზრება მისცა და გზა გაუკაფა კლასიკური დრამატურგიის სცენურ განხორციელებას. იგი საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის თეატრების კომისრად ინიშნება. თეთრგვარდიელ ბით გარემოცულ ქალაქში 1919 წელს დგამს ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ თეატრი სოციალისტური რევოლუციის სამსახურში ჩადგა, რომ მისი სპექტაკლები წითელარმიელებს და მშრომელებს აღაფრთოვანებდნენ თეთრგვარდიელების და ინტერვენტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1920 წელს კოტე მარჯანიშვილი პეტროგრადშია. იგი სათავეში ჩაუდგა პეტროგრადის საგეტაცეო თეატრს, 1920 წლის 19 ივლისს განახორციელა გრანდიოზული მასობრივი სანახაობა „მსოფლიო კომუნისტა, რომელშიც 4.000 კაცი მონაწილეობდა.

რუსული ხელოვნების დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციების ათვისებით გამდიდრებული, მსოფლიო პროგრესული თეატრის მიღწევებით შეიარაღებული, საბჭოთა თეატრალური კულტურის მშენებლობაში დიდი გამოცდილებით აღჭურვილი, უკვე თამაშევრცხლილი, მაგრამ სულით ახალგაზრდა მარჯანიშვილი 1922 წელს თავის მშობლიურ ქვეყანას — საქართველოს დაუბრუნდა. საბჭოთა მთავრობამ იგი სათავეში ჩაუყენა ქართულ საბჭოთა სასცენო ხელოვნებას. კ. მარჯანიშვილმა შემოქმედებითი ჩიხიდან გამოიყვანა რუსთაველის სახელობის თეატრი, დაუახლოვა იგი რევოლუციურ თანამედროვეობას და გზა გაუკვალა გმირულ-რომანტიკული სპექტაკლების შექმნისაკენ. მარჯანიშვილმა დიდი როლი შეასრულა ქართული დრამატული და მუსიკალური თეატრების გარდაქმნისა და თეატრალური განათლების აღორძინებაში. მან გამოავლინა, აღსარდა და შემოქმედებითს ფართო სარბიელზე გამოიყვანა დრამატურგთა, მსახიობთა, რეჟისორთა და კომპოზიტორთა მთელი თაობა, დიდად წასწია წინ ქართული კინოხელოვნება.

მისმა მაღალინტიერებამ და დიდმა შემოქმედებითმა გამოცდილებამ, რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულებამ სრულიად გარდაქმნა ქართული თეატრი და მას რეფორმატორის სახელი დაუმკვიდრა.

კოტე მარჯანიშვილი როგორც საბჭოთა თეატრალური პოლიტიკის გამტარებელი, თავს უყრიდა ჯანსაღ შემოქმედებით ძალებს, რაზმავდა და წარმართავდა მათ ანტისაბჭოთა ტენდენციების აღსაკვეთად ხელოვნებაში. მარჯანიშვილი მთელი თავისი ბრწყინვალე ნიჭით და მდიდარი გამოცდილებით მხარს უჭერდა, აქეზებდა და წარმართავდა ახალგაზრდობის შემოქმედებითის შრომას და ინიციატივას. მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა „ცხვრის წყარო“, „მზის დაბნელება. ამ ამოცანასაც მარჯანიშვილმა ბრწყინვალედ გაართვა თავი. ამ თეატრმაც, რომელსაც შემდეგში მისი დამაარსებლის და ხელმძღვანელის სახელი ეწოდა, თავისი მართალი, გულში ჩაწვდომი ხელოვნებით ხალხის გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა.

მარჯანიშვილმა ამ თეატრში განახორციელა სპექტაკლები შ. დადიანის „კაკალ გულში“, ბ. კაკაბაძის „ყვარყვრე თუთაბერი“, კ. კალაძის „როგორ“ და „ხატიჯე“, დ. შენგელაიას „თუთრები“, ბ. ჭუთათელის „შუა ღამემ გადაიარა“, დია ჩიანელის „ბაიღ“, გ. ბუბნაკაშვილის „კი, მაგრამ“, ვ. კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს“, „პური“, ი. ოლეშას „სამი ბღენძი“, ნ. პოგოდინის „ფოლადის პოემა“, ა. ოფინოგენოვის „შეში“, მ. კულეშის „კომუნა ველზე“ მ. მაკიტენკოს „ანათეთ, ვარსკვლავნო!“ ე. ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ! და ბ. შოუს „წმიდა ჭალეული“.

ამ მშრალი ჩამოთვლილანაც კი აშკარად ჩანს, რომ მარჯანიშვილმა თანამედროვეობასთან სრულ თანახმოვანებაში მოიყვანა თავისი თეატრი. მარჯანიშვილი დიდად ზრუნავდა, რომ მისი თეატრი იდეურ-შემოქმედებითი ერთსულოვნებით ყოფილიყო გაერთიანებული ქართულ და მოძმე ხალხთა საბჭოთა მწერლობასთან. ამასთანავე მარჯანიშვილის თეატრი იმთავითვე ეულისხმიერებით ეკიდებოდა მსოფლიო პროგრესული დრამატურგიის მიღწევებს.

საგულისხმოა, რომ მარჯანიშვილმა თავისი თეატრის რეპერტუარს შორს გაუდგა მიჯნები და ხალხურ შემოქმედებასაც მისწვდა, დადგა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული ხალხის გმირული ბრძოლის ამსახველი „არსენას ლეკსი“ და თ. ვახვახიშვილის პანტომიმა „ხანძარი“. ამწადებდა დასადგმელად ი. მჭედლიშვილის „ოიანა ბუიანას“ — ქართული ნიღბების საიმპროვიზაციო თეატრით — ბერიკაობით შთაგონებული სოციალურ დრამას. მარჯანიშვილს კარგად ესმოდა, რომ ყოველი დიდი ხელოვნებაში ხალხურ შემოქმედებაზეა დაფუძნებული.

თითქოს კლასიკის რეჟისორულ გაგაზრებასა და სცენურ განხორციელებაში მარჯანიშვილისათვის არ გმართდა „ცხვრის წყარო“, „ჰამლეტი“, და მან შექმნა „ურიელ აკოსტა“ — ყველაზე უდიდესი მრავალსმოვანი სიმღერა, რაც კი ქართული სცენიდან მოგვისმენია სიყვარულისა და თავისუფალი აზრის შემართებაზე.

კ. მარჯანიშვილის შემოქმედება საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა კულტურების ურთიერთკავშირის, ურთიერთგამდიდრების ცოცხალი განსახიერება და მაგალითია. შესაძლებელია, არც ერთი ჩვენი ხელოვნის შემოქმედებაში არ იყოს ისე შერწყმული ეროვნული და ინტერნაციონალური, როგორც მარჯანიშვილის ხელოვნებასა და მოღვაწეობაში. მარჯანიშვილის მაღალინტიერებამ იმ დონემდე აამაღლა ქართული თეატრი, რომ მისი მნიშვნელობა გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. ორი ქართული თეატრის გასტროლები მოსკოვში 1930 წელს აღიარებული იქნა არა მარტო საკავშირო, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად.

ჩვენი თეატრების ვალია გაეფრთხილდეს მარჯანიშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობას, შეინარჩუნოს, განვითარდეს და განახლოს ის დიდი მონაპოვარი, რაც მარჯანიშვილის მაღალინტიერებამ შესძინა ქართულ საბჭოთა სასცენო ხელოვნებას.

დიმიტრი ჯანელიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

• • •

სურათზე: სცენა თბილისის ზოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლ „ცხვრის წყაროდან“. 1922 წლის 25 ნოემბერი.

ასე ამბობდნენ

□ ხხვას არას ვიტყვი ამხანად, თუ ვინ რა ღვაწლი დასდო ქართული სცენის წარმატებას. მხოლოდ ვეტყვი ჩემს მწარლურ მადლობას იმ რეჟისორმა ჯაუფს, — ძვირფასი კოტე მარჯანიშვილის მეთაურობით რომ მოღვაწეობს, რომელმაც უნახავი დადგმებით ბაბარწყინა ქართული სცენა.

დავით კლდიაშვილი.

□ კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებას ახასიათებდა დიდი გატაცება და აღფრთოვანება. მისი რომანტიზმი, მისი მოხერხებული პათეტიკური სამყაროში შეეყვანა მაყურებელი, ზეამაღლებული სახეები უმეტეს შემთხვევაში ცხოვრების ღრმა ცოდნით იყო ნაკარნახევი. ისე როგორც არავის, მარჯანიშვილს შეეძლო ადამიანში დანახა მშვენიერება...

მასთან მუშაობა ჩემთვის და ყველა თანამშრომლისათვის უდიდესი სიამოვნების მომტანი იყო.

ნატო ვაჩნაძე.

□ **მარჯანიშვილს** მე ვთვლი ძალიან დიდ რეჟისორად, დიდი კულტურის ადამიანად, კოლოსალური თეატრალური გამოცდილებით. მას ძალიან ბევრი რამ შენახავს... მან იცოდა მუშაობა აქტიორთან. ამის მაგალითია მისი ერთ-ერთი დიდი მოღაწეობანი უშანგი ჩხეიძე.

სანდრო ახმეტელი.

□ **მისთვის** თეატრი არ იყო ერთი რომელიმე თეატრი, მისთვის მთელი ქვეყანა იყო ერთი უზარმაზარი თეატრი და თვითონაც როგორც რეჟისორი ყველგან იყო, სადაც კი თეატრის თავბრუდამხვევი მტვერი დადგებოდა. მხოლოდ ეს მტვერი არ იყო უბრალო მტვერი — ეს იყო მზის ნაფერფლი და კოტეც ამ ბრწყინვალებისა და დღესასწაულის შეუდარებელი ოსტატი იყო.

ტიციან ტაბიძე.

□ **პროგეთეოსის** მსგავსმა დიდმა ხელოვანმა კოტე მარჯანიშვილმა ოლიმპოს მთიდან მოსტაცა მუზეებს ცეცხლი და „ცხვრის წყაროში“ ისეთი კოცონი დაანთო, რომ ახლა არავის ძალუძს მისი ჩაქრობა. ვაშა თქვენ, ძვირფასო მეგობრებო!

პაოლო იაშვილი.

მოგონებების ფურცლები

კიევი, 1919 წელი

ამ წერილის ავტორი ვლადიმერ ნელი, ამჟამად კიევის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი, კოტე მარჯანიშვილის მიერ 1919 წელს კიევში დადგმულ სპექტაკლ „ფუენტე ოვეხუნაში“ რეგიდორისა და კომანდორის როლებს ასრულებდა.

1933 წელს მარტში კიევის რუსულ თეატრში ვსეკოლოდ ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედიის“ დადგმაზე ვმუშაობდი. პიესა, რომელიც ახალი დაწერილი იყო და ჯერ არსად არ დაედგათ, დიდ ინტერესსა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. პრემიერა, რომელიც მალე უნდა გამართულიყო, ცხადია, აღელვებდა ავტორს. იგი კიევში ჩამოვიდა, რათა სპექტაკლს დასწრებოდა.

გენერალური რეპეტიციის წინა დღეს ვიშნევსკისთან ერთად კიევში ვსეირნობდით და მისი გაუმეორებელი მშვენიერებით ტკბებოდით.

კიევის ცნობილი სასტუმრო „კონტინენტალიდან“ რომ გამოვედით, ზეცანი ნაბიჯით აღმა ავუყვეთ ცარლ მარქსის ქუჩას. ვიშნევსკი, როგორც ყოველთვის, ჩუმად იყო და ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს. მოედანზე ჯერ გასული არ ვიყავით, რომ ერთბაშად შედგა.

— აქ თეატრია, არა? — თქვა მან რაღაც უცნაური ინტონაციით.

— დიახ, თქვენ აქ ყოფილხართ?

— ამ თეატრში მე მინახავს სპექტაკლი... მართლაც და არაჩვეულებრივი სპექტაკლი!..

— სპექტაკლი? როდის? — ვკითხე მე.

— ო, ეს იყო თოთხმეტი წლის წინათ... მაშინ წითელარმიელი ვიყავი, ჯარისკაცი, დიახ, ეს იყო საოცარი წარმოდგენა და... ბრწყინვალე რეჟისორი!...

— მარჯანიშვილი, არა?!

ვსეკოლოდ ვიტალის-ძე ჩემკენ შემობრუნდა.

— დიახ, მარჯანიშვილი!

ცოტა ხნის შემდეგ მე ვთქვი:

— „ფუენტე ოვეხუნა“. ამ სპექტაკლში ხომ მეც ვმონაწილეობდი!..

ერთხანს ორივენი ვდუმდით. ალბათ ორივენი ერთსა და იმავეზე ვფიქრობდით, ვიხსენებდით იმ დროს, რომელსაც ვიშნევსკის „დაუვიწყარი 1919“ უწოდა.

თითქოს ისევ შემომესმა წითელარმიელების, მუშების, მეზღვაურების აღფრთოვანებული შეძახილები. მათი მტკიცე მუყობრი ნაბიჯის ხმა და „ინტერნაციონალის“ მელოდია, თეატრიდან პირდაპირ ფრონტზე მიმავალი ჯარისკაცები რომ მღეროდნენ. თვალწინ დამიდგა კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე მარჯანიშვილის და სპექტაკლის მონაწილე მსახიობების აღფრთოვანებული, ბედნიერი სახეები...

— კარგად მახსოვს, — დაიწყო ვიშნევსკის კარგა ხნის დუმილის შემდეგ, — სპექტაკლზე ჯარისკაცები შეიარაღებული მოვედით. საერთოდ მაშინ უიარაღოდ სიარული არც შეიძლებოდა... იმ საღამოს თეატრში ვნახეთ სანახაობა, რომელმაც გულის სიღრმემდე შესძრა ჩვენი არსება. სცენაზე ჩვენ ვნახეთ ჩაგრულთა ბრძოლა თავიანთი განთავისუფლებისათვის, რაც მთლიანად ეხმიანებოდა ყოველივე იმს, რაც მაშინ თეატრის კედლებს გარეთ ხდებოდა. ჩვენზე, წითელარმიელებზე სპექტაკლმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მზად ვიყავით მაშინვე წავსულიყავით ბურჟუაზიული ევროპის წინააღმდეგ საბრძოლველად... თეატრიდან რომ გამოვდიოდით, ასე გვეგონა ხელახლა დავიბადენით. დიახ, ეს იყო ძალიან ამაღელვებელი, შთამბეჭდავი, ბრძოლისაკენ მომწოდებელი სპექტაკლი!..

ვსეკოლოდ ვიტალის-ძე ერთხანს გაჩერდა, მერე რაღაც მინაგანი გრძნობით დასძრულა:

— სპექტაკლის ბოლოს სცენაზე რეჟისორი გამოვიდა. არასოდეს დამავიწყდება მისი შთამაგონებელი სახე, ანთებული, ცეცხლოვანი თვალები...

1919 წლის მაისში ალყაშემორტყმულ კიევში დიდმა ხელოვანმა კოტე მარჯანიშვილმა შექმნა სპექტაკლი „ფუენტე ოვეხუნა“, სამუდამოდ რომ შეეყოდა მსოფლიო თეატრალური ხელოვნების ისტორიაში როგორც საბჭოთა დროის პირველი რევოლუციური სპექტაკლი, რომელიც გამოირჩეოდა დიდი შემოქმედებითი ძალით, ნათელი ტემპერამენტით, ღრმა იდეითა და შინაარსით, მძაფრი რევოლუციური აზროვნებით, ფორმის თავისებურებით, ბრწყინვალე რეჟისურით და საუკეთესო აქტიორული შესრულებით.

მარჯანიშვილის რეჟისურის რევოლუციური აზროვნების გამოძახეველი იყო არა მხოლოდ სპექტაკლის ახლებური გადაწყვეტა, მისი თემისა და იდეის თამამი, თანამედროვე ეფერადობით განსაზღვრა, არამედ მთელი შემოქმედებითი მუშაობის რეჟიმის შეცვლა. მსახიობებთან ახლებური დამოკიდებულება, რეპეტიციების თავისებურება, ახლებური სავაუშაო ტემპისა და რიტმის შექმნა, თეატრის მთელი ცხოვრების განახლება და დემოკრატიზაცია...

კარგად მახსოვს, როცა წარმოდგენის დასასრულს ნ. სოსნინი მაყურებელს მიმართავდა, „ბა, მოთხარით, ვინ მოკლა აქ სენორ კომანდორი?“, პასუხი ყოველთვის ერთსულოვანი იყო — „ფუენტო ოვეხუნამ!“

ასევე ჩვენც, იმ სპექტაკლის მონაწილენი, როცა კი გვკითხავენ, თუ ვინ გაგვიხსნა დიდი საბჭოთა ხელოვნების გზა, დაუფიქრებლად ვუპასუხებთ „ფუენტო ოვეხუნამ!“

ვლადიმერ ნელი,
კიევის კარპენკო-კარის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი.

სურათზე: კოტე მარჯანიშვილი და გამოჩენილი რუსი რეჟისორი, საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი კონსტანტინე სტანისლავსკი (თბილისი, 1924 წ.).

დიდი ხელოვანი, ალმაზრდელი

1924 წელს. დავამთავრე სათეატრო ინსტიტუტი-სტუდია სახალხო არტისტის ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის სტუდენტებით და რუსთაველის თეატრში მიმიღეს.

მახსოვს, ჩვენ, მეგობრები — პიერ კობახიძე, მიმი ბერიაშვილი და მე ძველი ჩემოდნებით ხელში საბარგო მანქანით, დილის 6 საათზე გავუდექით მანგლისის გზას, სადაც მოგველოდა საშაფხულო მუშაობა სეზონისათვის და, რაც მთავარია, კოტე მარჯანიშვილთან შეხვედრა.

შიში... დაეჭვება... სიხარული... ჩვენი ახალგაზრდული ყოყლოჩინობა, ცოტათა განებივრებულიც გახლდით (ინსტიტუტის სტუდია დავამთავრეთ ხუმრობაა?!)

ორ საათში მანგლისსაც დავუკარით თავი.

კოსტად მორთული სარეპეტიციო დარბაზიც მზად გახლდათ „საიდუმლო სერობისათვის“. მარჯანიშვილი ადრე ჩამობრძანებულა და წინასწარი სამზადისიც თითქმის უკვე დუმთავრებია.

დანიშნულ დღეს, დანიშნულ საათზე აღნიშნულ სარეპეტიციო დარბაზში გამოცხადდა მთელი დასი. საერთო ერიამული, მოკითხვა-გაკითხვა, ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის, უჩვეულო, არნახული, არგაგონილი ატმოსფერო. დარბაზში შემობრძანდა კოტე თავისი შტაბით, არწივისებური, შავი თვალებით, ხუჭუჭა თმით. აქვე იყვნენ წელგამართული სანდრო ახმეტელი და ახალგაზრდები — დოდო ანთაძე, ალ. გველესიანი (დირიჟორი), კ. პატარიძე და მათი თანამშეწეები.

მისალმების შემდეგ დავსხედით. კოტემ მოგვმართა სიტყვით, გაგვაცნო მიმდინარე სეზონი და თეატრის ამოცანები, შემდეგ გვითხრა, რომ წაგვკითხა კედელზე გაკრული სარეპერტუარო, როლების განაწილება და... ეს რა ამბავია ჩემს თავს? რაღაც ფანტია, ეშმაკობა თუ თვალები მატყუებენ? ვინიშნავ ჩემს უბის წიგნაკში და მაინც არ მჯერა. რა, უკვე პრემიერი გამმღდეს? ასე ადრე?

აი რას ვკითხულობ: გერმანელი ვერფელის პიესაში „კაცი სარკიდან“ გ. დავითაშვილი და მე, ს. შანმიაშვილის „ლატავრა“ — ინკუბუს — ტაკელის ახლებური გადაწყვეტა, მისი თემისა და იდეის თამამი, თანამედროვე ეფერადობით განსაზღვრა, არამედ მთელი შემოქმედებითი მუშაობის რეჟიმის შეცვლა. მსახიობებთან ახლებური დამოკიდებულება, რეპეტიციების თავისებურება, ახლებური სავაუშაო ტემპისა და რიტმის შექმნა, თეატრის მთელი ცხოვრების განახლება და დემოკრატიზაცია...

ალ. ბახელიანი, ალ. ფანცულაია, ალ. ბერიძე, ალ. ბერიძე, ალ. ბერიძე

საქართველოს ფრონტებიდან

შაგათოგა მეჯვრისხევში

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნეს შაბათობა გორის რაიონის მინდერის მშრომელებმა და მოსწავლე კომკავშირელებმა. იგი ამ დღეებში მოეწყო სოფელ მეჯვრისხევში.

როგორც ცნობილია, შარშან მწყობრში ჩაფარა გორის მეფრინველეობის ფაბრიკის საწარმოო კომპლექსი. ეს გიგანტური საწარმო ადგა თბილგვირაბმშენის სამმართველოს კოლექტივმა. ამჟამად მიმდინარეობს საცხოვრებელი ზონის მშენებლობა. ერთი თვის შემდეგ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები მიიღებენ 22 კეთილმოწყობილ საცხოვრებელ სახლს, კლუბს, საბავშვო ბაღა-ბაღს, სასადილოს, მაღაზიის შენობებს, სპორტულ მოედნებს...

მეჯვრისხევის მახლობელი სოფლების მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს დახმარონ თბილისელ გვირაბმშენებლებს, რათა დაჩქარდეს აღნიშნული სამშაობები. 1.000 კაცზე მეტი გამოვიდა შაბათობაზე. აქტიურად მუშაობდნენ მეჯვრისხევის, ახალუბნის, ზერტის, ხელოუბნის, ბერბუკისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები, სკოლების კომკავშირელები და ახალგაზრდები. შაბათობაზე მოვიდნენ თბილგვირაბმშენის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებიც. მათ შესასრულეს მიწის სამუშაობები, ამოთხარეს ორმოები მცენარეებისათვის, შეაგროვეს მშენებლობის ნარჩენები, დაასუფთავეს ტერიტორია, მშენებლებს დაეხმარნენ ბორდიურების დაყენებასა და ფიცრების დაწყობაში, დარგეს 500-მდე მცენარე და სხვ.

შაბათობის მონაწილეებმა გადაწყვიტეს მომავალშიც გაუწიონ დახმარება მშენებლებს.

ბ. კობიძე.

„კომეტები" საზღვარგარეთ

ფოთი. (საკ. კორ.). შავი ზღვისპირის განლაგებულია რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი საწარმოს — სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხნის კორპუსები. აქ 1962 წლიდან შეუდგნენ წყალქვეშაფრთიანი 116-ადგილიანი სამგზავრო თბომავლების — „კომეტების" მშენებლობას.

„კომეტებმა" მალე სახელი გაითქვეს მსოფლიოში. იგი შეიძინეს იტალია, ინგლისი, ინდოეთი, ავსტრალია, საფრანგეთი და სხვ.

ქარხანა ჩაბმულია სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და შრომის მაღალ ნაყოფიერებას აღწევს. 10 თვეში ქარხანამ გამოუშვა ზეგეგმითი პროდუქცია. მათ შორის ორი შეიძინა იტალიამ, ხოლო ერთი იუგოსლავიამ.

აქ ააგებენ კიდევ ერთ „კომეტას" საფრანგეთის დაკვეთით.

1973 წელს ქარხანა გამოუშვებს რამდენიმე „კომეტას", რომლებზეც წინასწარ არის მოთხოვნა იუგოსლავიიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან.

სტუმრად ბოგდანოვკაში

ბოგდანოვკელი მშრომელები არაერთხელ შეხვედრიან ნოვომოსკოვსკის ფრანტული თეატრის მსახიობებს. შეიძლება ითქვას, რომ მათი გასტროლები ბოგდანოვკაში ტრადიციად იქცა. ამ დღეებში ნოვომოსკოვსკელი მსახიობები კვლავ ესტუმრნენ ჩვენი რესპუბლიკის ამ მაღალმთიან რაიონს. კულტურის სახლში სტუმრებმა წარმოადგინეს სპექტაკლი ა. კალინინის „ბოშა", რომლის დადგმა ეკუთვნით რსფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ს. ბარკანს და რსფსრ დამსახურებულ არტისტს დ. რუდნიკს.

ვ. სელიკაიანი.

„საქართველოს აგიტატორი" № 22

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის" მორიგი, ოცდამეორე ნომერი.

ერთიანი ფრონტი ლენინურ სპორტში

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ

ახალი საცხოვრებელი სახლები ქალაქ რუსთავში. გ. ჯანიკაშვილის ფოტო.

„ᲖᲐᲞᲝᲠᲝᲥᲔᲪᲔᲑᲘ" — ᲣᲤᲐᲡᲝᲓ

თელავი. (საკ. კორ.). წელს 10 თვეში სამამულო ომის ინვალიდებზე უფასოდ გაიცა სანატორიუმის 19 საგზური მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებით. სამამულო ომის ოთხ ინვალიდს — კ. პაველაშვილს, ი. გრეშელაშვილსა და ი. ჩუბინიშვილსა და ა. მურთუზოვს უფასოდ მიეცათ ავტომანქანები „ზაპოროჟეცი", ხოლო გ. ნარეკლიშვილს — მოტოციკლი.

მრავალშვილიანმა დედებმა მიიღეს დახმარება 37.172 მანეთის რაოდენობით.

□

მომავალი ნლის ანგარიშში

ამბროლაური. (საკ. კორ.). წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობს ამბროლაურის კინოქსელი (დირექტორი — კულტურის დამსახურებული მუშაკი გ. გოგობერიშვილი). წელს კინოშუმაკები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დადგნენ და თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს. კინოფილების ჩვენების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებითა და მაყურებელთა სანიმუშო მომსახურებით ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულეს ფუნადი შემოსავლის წლიური დავალება. შემოსავალმა უკვე გადააჭარბა 30 ათას მანეთს.

ახლა კინოქსელის კოლექტივი მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს.

ᲤᲔᲓᲠᲐᲙᲘ

ᲪᲮᲐᲠᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲤᲔᲮᲗᲐᲜ

ᲑᲐᲠᲔᲗᲝ

ᲕᲐᲫᲐ საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტურში დამთავრდა ერთი პარტია. შეჯიბრების დებიუტანტმა ვიდკოვმა, რომელიც ადრე შეუპოვრობით ხასიათდება, პირველი დამარცხება აგემა გროსმაისტერ ბალაშოვს. ძალიან საინტერესო გამოდგა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სავონის შეხვედრა სომეკიოს გამო „ცენტრალურ მცველად" წოდებულ ხოლმოვთან. ამჯერად შეტევამ სძლია დაცვას და ხოლმოვსაც დანებება მოუხდა. გუფელმა, რომელმაც ამ შეჯიბრებაში უკვე რამდენჯერმე ვერ გამოიყენა უპირატესობა, ამჯერად პირველი გამარჯვება იზეიმა კ. გრიგორიანთან.

ყაბაზე შეთანხმდნენ ჯინჯიხაშვილ-კუზმინი, რაზუვაევ-კაპენგოტი და ტალ-რაშკოვსკი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

5 ტურის შემდეგ 3 ქულით და 1 გადადებული პარტიით პირველ ადგილს ინარჩუნებს ოსტატი მიხეილ მუხინი (ლმა-ათა). 3 ქულა აქვს საბჭოთა კავშირის ჩემპიონს გროსმაისტერ ელადიძერ სავონს (ხარკოვი), 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია — გროსმაისტერ ანატოლ ლუგინს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲙᲐᲚᲗᲐ საკავშირო ჩემპიონატის დასასრულამდე 5 ტურიღა რჩება. მეთოთხმეტე ტურში დიდხანს ფრიად საეჭვო პოზიცია ჰქონდა შეჯიბრების ლიდერ ლევიტინს ტაშკენტელ ოსტატ მკრტჩიანთან. გადამწყვეტ მომენტში მკრტჩიანი შეცდა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ლევიტინამ და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. რანაკუმ დაამარცხა შჩერბინა, ყაბაზე შეთანხმდნენ ბელოვი და კისლოვი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

14 ტურის შემდეგ 9,5 ქულით პირველ ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ირინე ლევიტინა (ლენინგრადი), რვა-რვა ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ საერთაშორისო ოსტატებს ნიტლია კონოპლიოვას (მოსკოვი) და ვალენტინა კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი).

ᲡᲐᲜ-ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ტურნირზე კარპოვმა გადადებული პარტიების დამთავრებისას მოუგო ამერიკელ სეიდის და ავსტრალიელ ბრაუნს. ამის შედეგად ანალგაზრდა მოჭადრაკე ლიდერთა ჯგუფში მოხვდა. ახლა მას ლარსენთან (დანია) ერთად 2,5-2,5 ქულა აქვს.

რამდენიმე სტრიქონით

ᲡᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲘᲠᲝ ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ მოთამაშეები, როგორც იტყვიან, „ბუცებს ლურსმანზე არ კიდებენ". ჩვენი გუნდები საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს ატარებენ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამოს" ფეხბურთელები 25 ნოემბერს მიეგზავრებიან შრილანკასა (ცეილონი) და სინგაპურში; ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲢᲐᲘᲡ „კაირატი" 1 დეკემბერს — ნიგერიაში, „ᲓᲜᲔᲞᲠᲘ" 4 დეკემბერს — სომალსა და ეთიოპიაში, ᲛᲘᲜᲡᲚᲘᲡ „დინამო" 14 დეკემბერს — კენიასა და უნგრეთში, „ᲗᲐᲠᲚᲐ" 23 დეკემბერს — პაკისტანში.

ᲗᲔᲗᲠᲘᲐᲜᲘ. ცსკა-ს ფეხბურთელებმა ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ირანის სამხედრო-სპორტო ძალების გუნდი.

ᲫᲐᲕᲐᲜᲐ. ლვოვის „კარპატის" გუნდმა ამხანაგურ მატჩში დაამარცხა კუბის ნაკრები — 2:0. ბურთები გაიტანეს კოზინკევიჩმა და კოკოტმა.

„ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ-72"-ᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘ

Გ. ᲤᲘᲓᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘ. იგი მეოთხედ მოიპოვა კიევის „დინამომ", რომელსაც 52 გატანილი ბურთი აქვს. ამდენივე გაიტანეს მეტოქეთა კარში ვოროშილოვგრადელმა ფეხბურთელებმა, მაგრამ კიეველებმა უფრო მეტჯერ მოახერხეს მეტოქეთა მოედნებზე. უკრაინელი დინამოელები მიიღებენ ავრეთვე საკავშირო სპორტკომიტეტის პრიზს ჩემპიონატში სათადარიგო შემადგენლობის გამარჯვებისათვის. ისინი მეექვსედ აღწევენ ასეთ წარმატებას.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲒᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲘ. გაზეთ „ტრუდის" ეს პრიზი, როგორც ცნობილია, გადაეცემა კიეველ ოლეგ ბლოხინს, რომელმაც წლევანდელ სეზონში 14 ბურთი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ რეკორდი ამ მხრივ ეკუთვნის მოსკოვის სპარტაკელ ნიკიტა სიმონიანს, რომელმაც 1950 წლის ჩემპიონატში 34 ბურთი გაიტანა.

ᲐᲑᲠᲔᲨᲘᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ. უკრაინის ახალგაზრდულ გაზეთ „კომსომოლსკაია ზნამიის" პრიზი მოიპოვა ერევნის „არარატმა", რომელმაც მეტოქეთა მინდვრებზე 15 მატჩში 16 ქულა მოაგროვა.

ᲤᲔᲮᲑᲘᲡᲬᲘᲜᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘ. მოიგო რაც შეიძლება მეტი მატჩი, რომელშიც ანგარიში მიჰყავდა მეტოქეს — აი, გაზეთ „სოვეტსკაია როსიას" პრიზის პირობა. ეს სპორტული ჯილდო წილად ხვდა უმაღლესი ლიგის დებიუტანტს — დნეპროპეტროვსკის „დნეპრს". გუნდმა სამი ასეთი გამარჯვება მოიპოვა.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲡ. ეს პრიზი, რომელიც ჟურნალ „ოგონიოკმა" დაწესა, არსებობს უკვე მეთორმეტე წელია. იგი წელს მესამედ მოიპოვა „კიევის „დინამოსა" და სსრ კავშირის ნაკრების მეკარემ ევგენი რუდაკოვმა.

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ. პრიზი გადაეცემა „ზარიას", ვოროშილოვგრადელებმა მოიპოვეს ავრეთვე ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრიზი ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობებით ქულათა უმრავლესობის — 77 დაგროვებისათვის.

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘ. ეს ჯილდოც გადაეცემა „ზარიას", რომელსაც ყველაზე მეტი მატჩი აქვს მოგებული სამი და მეტი ბურთის სხვაობით.

ᲫᲠᲝᲨᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲞᲔᲑᲐ. ასე ეწოდება პრიზს, რომელიც ყაზახეთის ახალგაზრდულმა გაზეთმა „ლენინსკაია სმენამ" დაწესა იმ გუნდისათვის, რომელიც ყველაზე მეტ ფეხბურთელს მოამზადებს საკავშირო ნაკრებისათვის. წლევანდელ სეზონში ეს უფლება წილად ხვდა კიევის „დინამოს".

სამართლიანი შურისგება

ᲤᲘᲚᲐᲢᲝᲕᲘ, 22 ნოემბერი. (საკუთარი კორ.). აქ გაიმართა სამშობლოს მოღალატეთა ორი ღიაკრებული სასამართლო პროცესი. ფაშისტური ოკუპაციის წლებში ისინი მსახურობდნენ სადამსჯელო რაზმებში, რომლებიც ჰიტლერელებმა შეადგინეს სპეციალურად ადგილობრივ მცხოვრებთა გასაჟლეტად, როცა ფსკოვის ოლქი საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს, დამნაშავენი შეეცადნენ მიეჩქმალათ დანაშაული-თა კვალი. მაგრამ ჩეკისტების მტკიცე და გულმოდგინე მუშაობის მეოხებით ისინი ამხილეს და მართლმსაჯულების ორგანოებს გადასცეს.

საბჭოთა ადამიანების წამებასა და მასობრივ ჟლეტაში მონაწილეობდა ეგრეთწოდებული კვალიფიციის სადამსჯელო ბატალიონი, რომელშიც ოკუპანტები აგროვებდნენ სამშობლოს მოღალატეებს, ისინი, ვისაც დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი ადამიანური სახე. მათს რიცხვს ეკუთვნოდნენ ა. ბაბუშკინიც მოსკოვის ოლქის ქალაქ ორეხოვო-ზუევოდან, ი. მალიშევი ნოვგოროდის ოლქის მოშენსკის რაიონიდან. მტკვალური გამოხდომებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჰიტლერული ბრბის ყოფილი ეფრეიტორი ი. ბოლდინი ვორონეჟის ოლქის სემიოტკის რაიონიდან.

უამრავი შავბნელი ბოროტმოქმედება გამოუსწორებელი ნაცრონალისტის ლ. საუკასის სინდისზე, რომელმაც ჰიტლერელთა მეფალი მიიღო რუსი და ბელორუსი გლეხების მასობრივი დახვრეტისათვის.

ლენინგრადის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის გამსჯელმა სესიამ გაითვალისწინა თითეული განსასჯელის ბოროტმოქმედების სიმძიმე და ი. ბოლდინს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა, მის ხელქვეითებს: ა. ბაბუშკინს — თხუთმეტი წლით და ი. მალიშევს — 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. სამართლიან შურისგებას ვერ გადაუხვევია ვერც ჯალათი საუკასი, ფსკოვის საოლქო სასამართლოს კოლეგიამ იურისტ გ. ნ. ბიჩკოვის თავმჯდომარეობით ამ ფაშისტ ნაძირალას მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

განაჩენები მოიწონეს ქალაქ ფსკოვისა და ფსკოვის ოლქის მცხოვრებლებმა.

ᲐᲥ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲠᲔᲑᲘ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ქვანახშირის საბადოს ცენტრში გაიხსნა სამთო ტექნიკუმი, რომელმაც არაერთი სპეციალისტი მოამზადა. 12 წელზე მეტია აქ არსებობს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფაკულტეტი, სადაც მრავალმა ათეულმა ინჟინერმა მიიღო უმაღლესი ტექნიკური განათლება.

ბადრების ამ შესანიშნავი სამშენებლოს ცხოვრებაში ამ ოთხი წლის წინათ დიდი ცვლილება მოხდა. იგი გადაკეთდა საოამოს დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტად. მის განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ორი კორპუსი, რომლებშიც განლაგებულია სალექციო დარბაზები და 15-მდე კაბინეტ-ლაბორატორია. მუშა-სტუდენტების განკარგულებაშია მდიდარი ტექნიკური ბიბლიოთეკა.

აქ ექვსასამდე სტუდენტი ეუფლება საინჟინრო ხელოვნებას. ბევრი მათგანი ღღისით მიწისქვეშა სანგრევში მუშაობს, საღამოს კი ტექნიკურ მეცნიერებათა საფუძვლებს ეუფლება. ფაკულტეტზე 10 სპეციალობაა.

ამ დღეებში ქალაქის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 50 წლის იუბილე. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ტყიბულშიც მიეძღვნა საზეიმო კრება, რომლის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲒᲒᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ. (საკ. კორ.). ექსპლოატაციაში შევიდა კავშირგაბმულობის ბორჯომის რაიონული კვანძის ახალი შენობა, რამაც საგრძნობლად გაუმჯობესა მოსახლეობისა და დამსვენებელთა მომსახურება.

შენობაში ცალკე ოთახებია გამოყოფილი ჟურნალ-გაზეთების დამზარისხებელი სამკრეოსათვის, ფოსტალიონების სამუშაოდ. ამენათების მისაღებად, გაუმჯობესდა საქალაქთაშორისო სატელეფონო საგადგური მუშაობაც. ცალკეა გამოყოფილი დასასვენებელი და სასადილო ოთახები ტელეფონისტებისათვის. მომდინარეობს ახალი აპარატურის დამონტაჟება. მალე მსურველს თბილისთან და სხვა ქალაქებთან ნახევრად ავტომატური სატელეფონო კავშირის დამყარების საშუალება მიეცემა. გათვალისწინებულია აგრეთვე 3.000-ნომრიანი სადგურის მშენებლობა.

კავშირგაბმულობის ბორჯომის რაიონული კვანძის ახალი შენობის მშენებლობა, რომელსაც № 12 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველო აწარმოებდა, ვადამდე გათვალისწინებულ ვადებში დამთავრდა.

ᲨᲔᲒᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲗ, ᲒᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲡᲢᲘ

შეკითხვა: მასწავლებელს, რომელიც არჩეულია მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ, ენარჩუნება თუ არა მასწავლებლად მუშაობის პერიოდის ხელფასი?

Ა. ᲪᲘᲠᲘᲪᲐᲫᲔ,
თერჯოლა.

პასუხი: მასწავლებლებსა და სხვა მუშაკებს, რომლებიც არჩეული არიან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო ან სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, ენარჩუნებათ ხელფასის თვიური განაკვეთები, თუ იგი მეტია თავმჯდომარის თანამდებობრივ განაკვეთზე.

შეკითხვა: უმაღლეს სასწავლებელში სწავლისა და საბჭოთა არმიაში სამსახურის პერიოდი ჩაითვლება თუ არა პედაგოგიური მუშაობის სტაჟში?

Ა. ᲝᲡᲝᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ.

პასუხი: უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ ადამიანები, ვინც ომამდე ან ომის დროს ან ომის შემდეგ ეკავა ინჟინერ-ტექნიკური თანამდებობა ინდუსტრიულ საწარმოებში, ტრანსპორტზე, სამშენებლო ორგანიზაციებში, ელექტროსადგურებზე, ელექტროქსელებზე, ელექტროფიკაციის ორგანიზაციებში, ელექტროტექნიკურ ქარხნებში, ელექტროტექნიკურ ლაბორატორიებში, ელექტროტექნიკურ ინსტიტუტებში, ელექტროტექნიკურ ტექნიკუმებში, ელექტროტექნიკურ ინსტიტუტებსა და ელექტროტექნიკურ ტექნიკუმებთან არსებულ ფაკულტეტებზე, ინჟინერ-ტექნიკურ ინსტიტუტებსა და ინჟინერ-